სახალხო გაზეთი

№ 130 ოთხშაბათი, 13 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 130

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 [illegible] ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ბანკის ქ. № 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул., N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

*** * * * ხელის-მომწერთა საყურადღებოდ * * * ***

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.**

შავი-ქვის მრეწველთა საბჭო

ამით აცხადებს, რომ მრეწველთა ჭიათურის საავადმყოფოსათვის საჭიროა

ექიმი-ქირურგი,

სასურველია, რომ იგი ამასთანავე იყოს გინეკოლოგიც. ამ საავადმყოფოში 40 საწოლია საამბულატორო განყოფილებით. ჯამაგირი წელიწადში სამი ათასი მანეთი, აქედან 600 მანეთი ბინისათვის.

მოსამსახურეებს აქვთ შემნახველ-დამხმარებელი კასსა, რის სასარგებლოდაც ჯამაგირი ხუთი პროცენტი ეჭირებათ, ამდენსავე იხდის თვით საბჭო. მოსამსახურეებს ყოველ-წლივ ერთი თვე დასასვენებლად ეძლევათ. საავადმყოფოს შტატი ასეთია: გამგე საავადმყოფოსი, ქირურგი და მესამე ექიმი (ორდინატორი), დაბა ჭიათური დაშორებულია ქუთაისზე 80 ვერსით. მიმოსვლა რკინის გზით. მსურველებმა თხოვნები უნდა გამოგზავნონ საბჭოს სახელზე, ქ. ქუთაისში. განცხადება მიიღება 20 ოქტომბრამდე. (2—138—2)

რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან,

ოდესიდან და პეტერბურგიდან

● დიდძალი ●

◀ ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები. ▶

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ქუჩაზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N 24—25. (50—57—11)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

დამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

ზედგენიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი გ. ა. კურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვ. მიიღება. სადასტურო. (900—5—298)

პაგელის კერძო სამკურნალო

კარედას ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირაობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—5.—461)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ქიროჩის ქ., № 9. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ჯვრა, ყორღანოვის ქ. 20. (0—6.—62)

„სახალხო გაზეთის" კანტორა

აცხადებს, რომ 1 ღვინობისთვიდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც წლის ბოლომდის არ ჰქონდა 8 მან. 50 კაპ. შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 1 ოქტომბრისთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ენკენისთვეს უნდა გადაეხადათ წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დააჩქარონ და შემოიტანონ.

ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ: **Тифлисъ, Болшая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.**

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე" ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დააჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ.

„სახალხო გაზეთის" კანტორა.

პროვინციაში გაზეთების გამგზავნი

ბიურო

რომელსაც შეადგენენ გაზეთები: „სახალხო გაზეთი", „საქმე", „ზაკავკაზიე", „ნოვაია რეჩი" და ჟურნალები „მათრახი და სალამური", „ერი" და „თეატრი და ცხოვრება", ჰყავს შემდეგი აგენტები:

გორში—მ. არჩვაძე.

მიხაილოვში—ს. ბატმანოვი.

ყვირილაში—ი. გაჩეჩილაძე.

ჭიათურაში—ებანოიძე.

ქუთაისში—ის. კვიცარიძე.

სამტრედიაში—ი. ურუშაძე.

ლანჩხუთში—მატიტაშვილი.

ფოთში—ს. ორაგველიძე.

ბათუმში—გ. მახარაძე.

თელავში—ონ. კაშვილი.

სიღნაღში—ხატიევი.

ბაქოში—ნ. აბაშიძე.

სოხუმში—ნ. ჯანანია და

ერევანში—ა. მესაროვი.

საჭიროა აგენტი

ელისავეტპოლში (განჯა), და ყარსში, ალექსანდროპოლში, ჩოხატაურში, ნოვოროსიისკში, ეკატერინოდარში, ნუხაში, შემახაში, ვლადიკავკაზში, არმავირში, [illegible], ჯულფაში და [illegible].

აგენტობის მსურველებმა უნდა მიმართონ ბიუროს გამგეს ერასტი დავითის ძეს გორდელაძეს ამ ადრესით: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, общій входъ съ нотаріусомъ Мгебровымъ. Эрастію Давидовичу Горделадзе.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ბანკის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე

სარაპ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოხელიანისა—ქალ. ავაკ., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოცოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ნოვიცკი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.

ფონდოვი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 11—12ს. დილ.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—5.—6)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე გადავიდა იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.-2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—234)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაქინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—8)

ექიმი მ. ს. არჯევანიძე ქუთაისში. იღებს შინაგან და დედათა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. ჯოჯიკოვისა. (25—9—21)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზღვაოდ). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—49)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ჯაპარიძისა. (უ)

აგენტი

ი. გ. ხალათიანი

რეკლამებს, პუბლიკაციასა და განცხადებას

ვკისრულობ ადგილობრივსა და რუსეთის სხვა ქალაქების გაზეთებსა და ჟურნალებში, ძლიერ შეღავათიანის პირობებით, **ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით.** ვკისრულობ აგრეთვე ყოველგვარ სტამბის საქმეს. დიდი ხნის გამოცდილება მაქვს. გთხოვთ სხვა აგენტებს არ დამადაროთ.

დროებითი ადრესი: გაზ. „Нов. рѣчь"-ის კანტორა, ტელეფ. № 20.

ყოველ დავალებას პირნათლად ვასრულებ ყველა რეკლამებს თვითონვე ვადგენ.

ტფილისი, 13 ოქტომბერი

მიწის სიმცირე და სამეურნეო კულტურა ქუთაის. გუბ.

გუშინ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობის საგანგებო კომისია, რომელსაც მსჯელობა ჰქონდა დროებით ვალდებულ გლეხებზე, თითო დესეტინა მიწის ფასს 1785 მანეთამდე ანგარიშობს. მართალია, ეს გაზვიადებული ფასია, რადგან სათავად-აზნაურო კომისიას ყურადღება არც იმისთვის მიუქცევია, რომ კაპიტალიზაციისთვის უნდა გამრავლებულ იქმნას არა **მთელი,** არამედ მხოლოდ მიწის **წმინდა** შემოსავალი, და არც იმისთვის, რომ იმერეთში მიწა ყველგან ყოველ წელს არ იძლევა შემოსავალს, მაგრამ თუნდ ამ გაზვიადების წილად 1785 მანათს ნახევარი ორი მესამედ ან, თუ გნებავთ, სამი მეოთხედი დავაკლოთ, მაინც კიდევ დესეტინა მიწის ფასი რამდენიმე ასი მანათი დარჩება. ტფილისის გუბერნიასთან შედარებით ქუთაისის გუბერნიაში მიწა ორთა შუა რიცხვით ხუთჯერ მეტად ფასობს, რასაც სხვათა შორის ამტკიცებს სადგილ-მამულო ბანკებიდან გაცემულ სესხის შედარებაც.

ეკონომიურ ცხოვრების თვალსაზრისით მიწა ჩვენს დროში სიმდიდრის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც ცოტა რამ განსხვავებით ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც, ვთქვათ, საფაბრიკო მანქანებს; იგიც წარმოების იარაღია. ამიტომ, მიწის ფასი იმის მიხედვით უნდა განისაზღვრებოდეს, თუ რა წმინდა შემოსავალს იძლევა და ამ შემოსავლის კვალობაზე უნდა უთანასწორდებოდეს კაპიტალის სხვა ფორმებს. თუ მაგ. დესეტინა მიწა ათასი მანათი ღირს, ეს იმას უნდა აღნიშნავდეს, რომ ერთ დესეტინა მიწის წმინდა შემოსავალი უნდა უდრიდეს ათას მანათის წლიურ სარგებელს. სწორედ ასე უნდა ყოფილიყო, ეკონომიური ცხოვრება რომ მარტოოდენ მათემატიკურ პირდაპირ ანგარიშის გამოხატულებას წარმოადგენდეს. ნამდვილად ეკონომიურ ცხოვრებაზე მრავალი მორალური ხასიათის გარემოებაცა მოქმედობს და მათის გავლენით კი ხშირად ეკონომიური მოვლენანი რაოდენამდე სახეს იცვლიან. მიწის ფასი, მაგალითად, განისაზღვრება არა მარტო შემოსავლის მიხედვით, არამედ აგრეთვე იმ გარემოებით, მაგალითად, რომ ზოგჯერ მიწის პატრონი, თუ არ უაღრესი რამ გაჭირვება, არ მოინდომებს მიწის გაყიდვას, იმიტომ რომ ვერა ჰბედავს უმამულო ადამიანად იქცეს, ეშინია უმიწა-წყლო პროლეტარად გადაქცევისა და სხვა. ამ მორალურ ხასიათის მოსაზრებებს საერთოდ დიდი გავლენა აქვს ყოველგვარ ბაზარზე; მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის ფასის გახსაზღვრაში. როგორც ზემოდ ვთქვით, მიწა წარმოების იარაღია, მაგრამ ამ იარაღს ცოტა რამ თავისებური ხასიათიცა აქვს. ეს თავისებურება წარმოსდგება მიწაზე მოსახლე ხალხის სულიერ განწყობილებისაგან, მიწის სოციალურ, ეროვნულ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობისაგან, ისტორიულად წარმომდგარ სამშობლო მიწა-წყლის სიყვარულისაგან და სხვა.

ყველა ამ მიზეზებისა გამო მიწის ფასის ზრდა აუცილებლივ იმას არ აღნიშნავს, რომ მიწის წმინდა შემოსავალს მოჰმატებოდეს. შესაძლებელია, მიწის ფასი გაზრდილიყოს არა ეკონომიურის, არამედ მორალური მიზეზების გავლენით. მაგალითად, როცა მცხოვრებთა რაოდენობა იზრდება და მიწის ჩვეულებრივი შემოსავალი წინანდელივით ყველას აღარა ჰყოფნის საცხოვრებლად, როცა, მაშასადამე, საჭიროება მოითხოვს ზედმეტ მცხოვრებლების გადასახლებას, თავის თავად ცხადია, მოხსენებულ შემთხვევაში არავის არა ჰსურს აიყაროს ნაჩვევ ადგილიდან და პირიქით თითოეული მოსახლე იმას მეცადინეობს, რომ როგორმე თავის მეზობლის მიწაც თითონ ჩაიგდოს ხელში; ამ ნიადაგზე კი მიწის ფასები აუცილებლივ აიწევენ, რადგან შესყიდვის მსურველი უფრო მეტი იქნება, ვიდრე გაყიდვისა. ქუთაისის გუბერნიაში სწორედ ამ გვარ ეკონომიურ მოვლენას ვხედავთ. მიწის სიძვირე გამოწვეულია იქ მცხოვრებთა რაოდენობითის ზრდისაგან. ცნობილია, რომ ხშირად ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლები რამდენისამე წლის განმავლობაში სხვა უცხო ადგილებში მუშაობენ, იქ კაპეიკობით აგროვებენ ფულს და ბედნიერად მიაჩნიათ თავი, თუ ბოლოს ამ ფულით თავის სოფელშივე ან იმის მახლობლად იმდენი მიწის სყიდვა შესძლო, რომ საცხოვრებლად ეყოს. ცნობილია, აგრეთვე, რომ ქუთაისის გლეხთა ოთხმა მეხუთედმა მთავრობის დაუხმარებლივ გამოისყიდა მებატონეებისაგან თავისი სანადელო მიწები, მაშინ როდესაც ტფილისის გუბერნიაში გლეხთა უმრავლესობას ფიქრადაც არ მოსდის გამოსყიდვაზე ზრუნვა. ხალხთა სიმრავლე და ამასთან განუყრელად დაკავშირებული მიწის სიმცირე იწვევენ, მაშასადამე, ქუთაისის გუბერნიაში მიწის ფასების ზრდას, მაგრამ თავის თავად ცხადია, სამართლიანობა არ არის, ამ გარემოებით თავად-აზნაურობამ ისარგებლოს და ის მიწები, რომლებიც 46 წლის წინად მიეზომათ სანადელოდ გლეხებს, ეხლა შეასყიდოს ამ უკანასკნელთ ახლანდელ და არა წინანდელ ფასებში... მაგრამ ამ საგანზე არ გვინდა დღეს ჩვენ მკითხველთან საუბარი.

მიწის სიმცირით გამოწვეულ ფასების ზრდას თავისი საზღვარი აქვს, თუმცა იგი ცხოვრების კულტურულ პირობების მიხედვით სხვა და სხვა ნაირია. ამ საზღვრის გადაღმა იმყოფება ერთის მხრივ სხვა ადგილებში გადასახლება და მეორეს მხრივ მეურნეობის კულტურის ამაღლება. გადასახლება და სამეურნეო კულტურის ამაღლება, ორივე ობიექტივურად ერთ მიზანს ემსახურება: ახალ ნაყოფიერ სამუშაოს აღმოჩენას. აქედან თავის თავად ცხადია, რომ გადასახლება და კულტურის ამაღლება რაოდენადმე ერთმანეთს უარჰყოფენ. ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებს, როგორც ვიცით, გადასახლებისთვის მაგრე რიგად თვალსაჩინო ასპარეზი არა აქვთ. მთავრობა მარტო ოდენ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებიდან გლეხების განაპირა ადგილებში ჩასახლებაზე ფიქრობს, სახელმწიფოს დაუხმარებლივ გადასახლების მოწყობას კი მრავალი დაუძლეველი გაჭირება ჰხვდება წინ. ქუთაისის გუბერნიიდან გლეხების გადასახლება სხვა შესაფერ ადგილებში, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ ჩვენ იმდენად ამ გადასახლების იმედი არა გვაქვს, რამდენიც სამეურნეო კულტურის გაუმჯობესებისა. ორიოდე წლის წინად მთელი ქვეყანა გააკვირვა ქუთაისის გუბერნიის ნაყოფიერმა ბრძოლამ სასოფლო მეურნეობის ისეთ ულმობელ მტერთან, როგორიც ფილოქსერაა. ეს ნაყოფიერი ბრძოლა საუკეთესო თავდებია იმისი, რომ დასავლეთ საქართველოს წინ სამეურნეო კულტურის გაუმჯობესების გზა აქვს და ძალიანაც დაწინაურდება იგი ამ გზაზე.

ჩვენის ფიქრით, სამეურნეო კულტურის გაუმჯობესება ქუთაისის გუბერნიისათვის ისეთი აუცილებელი, კარს-მომდგარი, საჭიროებაა, რომელიც აუცილებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის სიმრავლე და მიწის სიმცირე საშინელ უბედურებას გამოიწვევს, რადგან შიმშილი ყოველგვარ ბოროტების, უზნეობისა და ავადმყოფობის წყაროა; მიწის სიმცირეს კი აუცილებლივ შიმშილი მოჰყვება, თუ დროზე არა ეშველა-რა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

იმ დროს, როდესაც მთელი რუსეთის მოწინავე საზოგადოება ღრმა მწუხარებაში ჩააგდო პირველ სახელმწიფო სათათბიროს პირველ თავმჯდომარედ ნამყოფის სახელოვან ს. ა. მურომცევის გარდაცვალებამ, მემარჯვენენი მაინც თავისას არ იშლიან და ამ დიდებული კაცის ცხედრის წინაშეც კი უსირცხვილოდ იღრიჯებიან და თავის ქვეყნის საუკეთესო შვილის ხსოვნასაც კი შეურაცყოფას აყენებენ.

პირველი სამარცხვინო საქმე ჩაიდინა პეტერბურგის ქალაქის საბჭომ.

ერთმა ხმოსანმა, ბ-მა დობროვოლსკიმ, კრების გახსნის წინ წინადადება მისცა ხმოსნებს:

> გარდაცვალებულის ს. ა. მურომცევის ხსოვნას ფეხზედ ადგომით პატივი ვცეთო.

ამ წინადადების წინააღმდეგი გახდა მემარჯვენე ხმოსანი კაზიცინი და განაცხადა:

> ამისთანა წინადადება მხოლოდ თავმჯდომარეს უნდა მიეცა და არა რომელიმე ხმოსანს. გარდა ამისა, ამ წინადადებას მე წინასწარადა ვცნობ, ვინაიდან ადამიანის დაფასება იმ დროს, როდესაც მისი სამარის კარები ჯერ კიდევ ღიაა, შეუძლებელია. ს. ა. მურომცევის მოღვაწეობა იმდენად შესამჩნევია, რომ ყველას შეუძლია თავისი

საკუთარი აზრი ჰქონდეს. ამიტომ საჭიროა ამ საკითხს კენჭი ვუყაროთ.

ბ-ნ კაზიცინს სხვა მემარჯვენე ხმოსნებმაც დაუჭირეს მხარი. კენჭი ჩამოატარეს და—პეტერბურგის ქალაქის საბჭოს სამარცხვინოდ,—55 ხმით 44 წინააღმდეგ, დობროვოლსკის წინადადება ს. ა. მურომცევის პატივსაცემლად ფეხზე ადგომის შესახებ უარყოფილ იქმნა.

⁂

[illegible] რუსეთის მოწინავე საზოგადოება სამართლიან მსჯავრს დასდებს პეტერბურგის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა საქციელს, მაგრამ როგორ მოევლება ბ-ნ პურიშკევიჩს, რომელიც თავის თავს არასოდეს არა ღალატობს, ეს კი, მგონი, დიდი გამოცანაა.

აი, როგორი დეპეშა გაუგზავნია პურიშკევიჩს განათლების ახალ მინისტრ კასსოსათვის:

„დღეს, ნაშუადღევის სამ საათზე, სამოსწავლო დროს, პეტერბურგის უნივერსიტეტის სადღესასწაულო დარბაზში, ამავე უნივერსიტეტის რექტორმა ნება დართო სტუდენტებს საერთო კრება გამართონ მურომცევის დასაფლავების დღეს მის პატივსაცემლად წეს-რიგის შესამუშავებლად. ეჭვს გარეშეა, რომ პროფესორთაგან წაქეზებული სტუდენტობა (მემარცხენე პროფესორების სახელებს თავის დროზე მოვახსენებ თქვენ აღმატებულებას), რამდენიმე პოლიტიკურ რეზოლუციას გამოიტანს. ერთ ამგვარ რეზოლუციას უკვე წინდა-წინვე ვგრძნობ. ეს იქნება სწავლის შეწყვეტა მურომცევის დასაფლავების დღეს. იმედი გვაქვს, რომ თქვენი აღმატებულება თავის დროზე ჩაერევა საქმეში და ამ თავითვე მოუსპობს საშუალებას, რომ მემარცხენე პროფესორებმა და სტუდენტებმა უმაღლესი სასწავლებელი ამ წელსაც პოლიტიკურ დემონსტრაციების ასპარეზად არ გადააქციონ, როგორც ამას გასულ წლებშიაც სჩადიოდნენ და ყოველივე შემთხვევითაც სარგებლობდნენ. ახლაც მათი სურვილია პატივი სცენ მურომცევს, არა როგორც მეცნიერს, არამედ როგორც მურომცევს—პოლიტიკურ მოღვაწეს,—იმ მოქმედებისათვის, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფოს არსებულ წესწყობილების დამხობისაკენ, როგორი მისი მოღვაწეობაც ჩამოურეცხელის ჩირქით არის მოცხებული თვითმპყრობელ მეფის ღალატისათვის. მე ვიცი, რომ მემარცხენე სტუდენტების რეზოლუციები მთელის სტუდენტობის სახელით იქმნება გამოტანილი, მაგრამ ხმა მაღლა ვაცხადებ, რომ ეს იქნება დიდი სიცრუე და ტყუილი. რადგანაც მე, როგორც მთელის იმპერიის სტუდენთა აკადემიურის მოძრაობის ხელმძღვანელმა, ძალიან კარგად ვიცი, რომ სტუდენტთა უკეთესსა და უპატიოსნეს ნაწილს სრულიადაც არა სურს ძაძა ჩაიცვას იმ კაცის სიკვდილის გამო, რომელიც კადნიერად წინააღუდგა უუწმინდესს ნებასა და სურვილს თავისის მეფე-მონარქისას. პურიშკევიჩი“

უჭიროდეთ იმ სტუდენტობასა და იმ ხალხს, რომელთაც პურიშკევიჩისთანა ხელმძღვანელი ჰყავთ, თორემ ს. ა. მურომცევის პატივისმცემელნი, როგორც იქნება, თავის თავს მოუვლიან.

დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

12 ოქტომბერი.

საზღვარ-გარედ

მარსელი. ტვირთის მზიდავებმა დადგინეს: გაფიცვა გამოაცხადონ.

დუე. სამხედრო აეროპლანი მარჯვედ აფრინდა 100 ადლის სიმაღლეზე, მაგრამ დაშვების დროს მოულოდნელად ძირს დაეცა. ავიატორს, კაპიტან მადიოს, თავი გაუტყდა და გარდაიცვალა.

ბერლინი. ღამით ვებერ-შტრასსეზე ახალგაზრდათა ჯგუფს პოლიციასთან შეტაკება მოუხდა. პოლიციელმა მოჰკლა ერთი ახალგაზრდა, რომელსაც ამ პოლიციელის მოკვლა უნდოდა, 200 კაცი დააპატიმრეს.

პარიზი. საფრანგეთის ელჩს დაევალა გამოუცხადოს ოსმალეთის მთავრობას, რომ მოლაპარაკება ოსმალეთის სესხზე შესწყვიტოს, რადგანაც ოსმალეთის მინისტრთა საბჭომ არ მიიღო ის პირობები, რომელნიც საფრანგეთმა მას წარუდგინა.

ლონდონი. მოლაპარაკება სპარსეთისა ინგლისის საფინანსო დაწესებულებასთან $1^{1}/_{4}$ მილიონ გირვანქა სტერლინგის სესხის შესახებ ჯერჯერობით წარმატებით მიდის.

ბერლინი. სტამბოლის მანიფესტაციამ გერმანიის და მისის იმპერატორის პატივსაცემლად, სენსაცია გამოიწვია. „ბერზენ კურიერი“ და „დეიტშე ტაგეს—ცეიტუნგი“ ექვობენ, რომ გერმანიამ განახორციელოს ის სურვილი, რომელიც განაცხადა მან დეპეშაში იმპერატორისადმი. „პოსტა“ სურვილს აცხადებს, რომ სამთა კავშირის პლომატიამ ისარგებლოს ახლანდელი მდგომარეობით და სპარსეთის განაწილების ნება არავის არ მისცეს. გაზეთის აზრით ამ შემთხვევაში გერმანიის ბანკებმა მთავრობას შემწეობა უნდა აღმოაჩინონ.

თეირანი. ინგლისის საელჩოს მუქარაზედ, რომ იგი დააყენებს დამცველ რაზმს ბუშირ-ისპაჰნის გზაზე, თუ სამხრეთ სპარსეთში სამის თვის განმავლობაში წესიერებას არ აღადგენთო, სპარსეთმა უპასუხა ყველა უწესოება იმისი ბრალია, რომ სპარსეთში რუსის ჯარი სდგასო. რუსეთივეო, ამბობს სპარსეთის მთავრობა, მფარველობას უწევს რახიმ-ხანს და დარაბ მირზას.

რუსეთი

პორტ-არტური. იაპონელთა ახალშენმა ჩინელ და უცხო ქვეყნების წარმომადგენელთა თანდასწრებით იდღესასწაულა ყველა სახელმწიფოთა სავაჭრო გემებისათვის ნავთსადგურის გახსნა.

იაროსლავლი. სამოსამართლო პალატის განსაკუთრებულმა სხდომამ წოდებათა წარმომადგენელთა თანადასწრებით დაიწყო საქმის გარჩევა რკინის გზის იმ 16 მოხელისა, რომელთაც 1905 წელს დეკემბერში იაროსლავლის სადგური და ტელეგრაფი შეჰკრეს.

ფინლანდია

მის მერე, რაც ფინლანდიის საქმეები მინისტრთა საბჭოს ხელში გადავიდა, ფინლანდიის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ აღრიცხვა კუს ნაბიჯით მიდის. ამის გარდა, ხარჯთ-აღრიცხვიდან განგებ ამოშლილია კულტურულ საქმეებზე მოხსენებული ხარჯები.

მაგ. 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვა მხოლოდ ამ დღეებში დაამტკიცა მინისტრთა საბჭომ.

ამ ხარჯთ-აღრიცხვიდან, რომელიც ფინლანდიის სენატის მიერ იყო შედგენილი და წარდგენილი, მინისტრთა საბჭომ ამოშალა: სახალხო სკოლების ასაგებად აღნიშნული 250,000 მარკა (120 ათასი მან.) საბავშო ბაღების მოსაწყობად შეტანილი—25,000 მარკა, ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად აღნიშნული—20,000 მარ. სახალხო კითხვების მოსაწყობად 25,000 მარკა და 50,000 მარკა ლაპლანდიაში გზების გასაყვანად აღნიშნული.

სენატი შუამდგომლობდა, რომ საბავშო ბაღებისათვის — 100,000 მარკა გადაედოთ და 50 ათასი მარკა საზაფხულო ახალ შენობებისათვის.

ეს შუამდგომლობაც უყურადღებოდ დასტოვა მინისტერთა საბჭომ.

ახალი ამბები

ტფილისი

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ** ქართველ პროფესსორებსა და სახელმწიფო სათათბიროს ქართველ დეპუტატებს პეტერბურგში გაუგზავნა ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის ყველა ის წიგნები, რომლებიც შეეხებიან კავკასიაში სკოლების სამაგალითოდ მოწყობას. ამ წიგნების გაგზავნა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ახლო მომავალში სახელმწიფო სათათბირო განაპირა ქვეყნებში სწავლა განათლების მოწყობის საქმის განხილვას შეუდგება.

✦ **ყველა უწყებათა წარმომადგენლების ბჭობა**. პეტერბურგში შემდგარა ყველა უწყებათა წარმომადგენელების ბჭობა, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი ამიერ კავკასიაში დროებით ვალდებულ გლეხთა მებატონეთაგან დამოკიდებულების მოსპობის შესახებ.

✦ **პანაშვიდი**. გუშინ, 12 ოქტომბერს, შუადღისას კალოუბნის ეკკლესიაში, „სამშობლო“-ს ავტორის დავით ერისთავის გარდაცვალებიდან 20 წლის შესრულებისა გამო, ქართულ-დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თაოსნობით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ამ მოღვაწის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის ხსოვნის მრავალი პატივისმცემელნი და ქართულ საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

✦ **უტოჩკინის ჩამოსვლა**. ამ დღეებში რუსეთიდან ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი მფრინავი უტოჩკინი, რომელიც პირველად კვირას გაფრინდება.



უტოჩკინი, მფრინავი.

✦ **ს. მ. მურომცევის პატივისცემა**. 11 ოქტომბერს ტფ. ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა საბჭოს კრებას აუწყა პირველ სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარის ს. მ. მურომცევის გარდაცვალება და დაახასიათა განსვენებული, როგორც საუკეთესო საზოგადო მოღვაწე. საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას.

✦ **ტფ. ქართულს გიმნაზიაში**. როგორც ამბობენ, ქართულ გიმნაზიის მეშვიდე კლასს, რომელიც ამას წინად დახურეს, წელს აღარ გახსნიან. დახურული კლასის მოწაფეთათვის უკვე წინადადება მიუციათ მომავალ მაისში დაიჭირეთ ეგზამენები მერვე კლასისთვისო.

✦ **ქალაქის საბჭო**. 11 ოქტომბერს, ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით ტფ. ქალაქის საბჭოს კრება მოხდა. პირველად კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება ხოჯამინასოვის მიერ სახალხო სახლის სასარგებლოდ 1.000 მანეთის შემოწირვის შესახებ და შემდეგ გოლოვინის პროსპექტზე ცირკის შენობის ცნობილი ამბავი. ხმოსან კ. ს. სარქისოვის განცხადება გამგეობის წევრთა კანდიდატების არჩევის შესახებ უყურადღებოდ იქმნა დატოვებული. დამტკიცებულ იქმნა გამგეობის დადგენილება კახეთისა, დესიმონოვისა და ნიკოლოზის მოედნებზე ახალ ბაღების გაშენების შესახებ. უარყოფილ იქმნა ხმოსან აპრამიანის განცხადება საქალაქო კონტროლის მომოღების შესახებ. საბჭომ აგრეთვე დაადგინა, 13 ოთხკუთხი საჟენი მიწა შეიძინოს განკევრისაგან წყნეთის ქუჩაზე ამ ქუჩის გასაფართოვებლად; განკევრს თითო საჟენში მიეცეს 30 მანეთი და სხვ.

✦ **„თეატრი და ცხოვრება“**. ი. იმედაშვილის დაპატიმრების გამო კვირას, 10 ოქტომბერს სათეატრო ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მორიგი ნომერი ვეღარ გამოვიდა.

✦ **კავკასიის მფრინავთა ჯგუფი** ქალაქის საბჭომ დაადგინა დროებით უფასოდ დაუთმოს ქალაქის მიწა (სიგრძით ერთი ვერსტი, სიგანით 200 საჟენი) ნავთლუღში კავკასიის მფრინავთა ჯგუფს ფრენის მოსაწყობად და ავიაციის სკოლის გასამართად. თუ ჯგუფი ამ ადგილზე ფასიან ფრენას მოაწყობს, მაშინ შემოსავლის 6% ქალაქს უნდა მიეცეს.

✦ **გაზეთი „ახალი აზრი“**. ქართული ყოველ-დღიური გაზეთი „ახალი აზრი“, რომელიც გუშინ არ გამოსულა, დღეიდან კვლავ გამოვა. ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ცნობა „ახალი აზრის“ დახურვის შესახებ სინამდვილედ არ აღმოჩნდა.

✦ **ტფ. ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ნაწილი**. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა სასანიტარო-სამკურნალო ნაწილის მოსამსახურეთ ჯამაგირები მოუმატოს. ეს პროექტი რომ განხორციელდება, მაშინ ქალაქს ყოველ წლიურად დასჭირდება სასანიტარო-სამკურნალო შტატის შესანახად 3.000 მანეთზე მეტი, წინა წლებთან შედარებით. ეს გადაწყვეტილება ქალაქის გამგეობამ დასამტკიცებლად წარუდგინა ქალაქის საბჭოს. საბჭომ თავის მხრივ ეს დადგენილება განსახილველად გადასცა საბჭოს საფინანსო კომისიას, რომელმაც თავისი აზრი უნდა წარუდგინოს საბჭოს მომავალ კრებას.

✦ **ახალი ქართული წიგნი**. ქართველ პუბლიცისტის ბატონის ახალი წიგნი „ერი და კაცობრიობა“, რომელიც ამას წინად ხალხში გასავრცელებლად აღკრძალეს, საცენზურო კომიტეტმა უკანვე დააბრუნა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგ. წიგნის მაღაზიაში.

✦ **ტფ. სახალხო უნივერსიტეტი**. 11 ოქტომბერს ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა მორიგი კრება მოხდა. გამგეობამ, სხვათა შორის დაადგინა 21 ოქტომბერს მოიწვიოს შეერთებული კრება ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორებისა და იმ პირებისა, რომელთაც გამგეობა პირობა მისცეს სახალხო სახლში სახალხო უნივერსიტეტის სახელით ლექციის წაკითხვისა.

✦ 11 ოქტომბერს საერთო ჩხრეკა-დაპატიმრების დროს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 50 უპასპორტო.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში ს. ქარელიდან მოწერილ წერილში მეორე აბზაცი ასე უნდა იყოს:

„მლოცველთა დენა იწყებს ხოლმე აპრილის 23-დან და ნოემბრის 18-დე ყოველთვის „სარკის“ კარს მლოცველი გამოულეველია. თუმცა არეულობის დროს მლოცველთა რიცხვმა იკლო, მაგრამ ახლა, 1908 წლიდან, ისევ წინანდებურად იწყო ხალხმა დენა“, და სხვ.

რევოლუცია პორტუგალიაში

პორტუგალიის რევოლუციის პირველი ღამე.

გაზ. „ო სეკულო“-ს რედაქტორი დონ ემილიო კოსტა, რომელიც დროებითი მთავრობის თვალსაჩინო წევრია, ასე აწერს რევოლუციის პირველ ღამეს:

— „აჯანყებამ იფეთქა 3 ოქტომბერს, შუა ღამისას. ამ ღამით გან-

სოციალური მოტივი

ილია ჭავჭავაძის პოეზიაში

(დასასრული *)

ილია გახდა მაშვრალთა მწერალი. მან განიზრახა დაჩაგრულთა წელში გასწორება. მწერალს კარგად ესმოდა, რომ ამ მიზნისთვის საჭირო არის ცოდნის გავრცელება საზოგადოების ფართო მასაში, ხალხში, ურომლისოდაც ეს უკანასკნელი ვერ შეიგნებს თავის მდგომარეობას და ვერ აღამაღლებს ხმას თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ამისათვის ილია წამ და უწუმ იმის მქადაგებელი იყო, რომ გლეხ-კაცობას მხოლოდ თავის თავის იმედი უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ბატონებს გულის მაგიერ ქვა უძევთ საგულეში და ისინი ბეწოსოდენასაც არ დაუთმობენ ხალხს, რადგანაც მოკლებულნი არიან ყოველს კეთილ გრძნობას და დიდი თავ-მოყვარეობა კი სჭირთ. „მოძმეთა ხსნისთვის თავის დადება წმინდა ხვედრია მხოლოდ გმირთა და მას ვით შესძლებს თავ-მოყვარება, რომელიც იმა დიდ-კაცთა სჭირთა“, ამბობს პოეტი ერთს თავის მხატვრულ ნაწარმოებში („აჩრდილი“). გაბატონებული ნაწილი საზოგადოებისა, მისი აზრით, „არ ინდომებს ქვეყნისა ბედსა“, რადგანაც „მას შველის მის ბედ-კრულება“ და ის თავის დღეში „არ შეებრძვის სიბოროტესა“, რადგანაც „მის მეოხებით თვით რჩება“.

მაშასადამე საიდგან არის შველა? ვის შეუძლიან დახმარება გაუწიოს ბეჩავს გლეხ-კაცობას, რათა მან დააღწიოს თავი გაჭირვებას და განითავისუფლოს თავი სულ-შემხუთავ მონობისაგან? მგოსანი ურჩევს საზოგადოების ჩაგრულს ნაწილს თვით აღიმაღლოს ხმა და შეებრძოლოს ბოროტებას, რადგანაც იგი ღრმათაა დარწმუნებული „რომ ვერ განკურნოს მან მონის წყლული, ვინცა მონებას ემორჩილებაო“ („აჩდილი“). აქედან ნათლათ სჩანს, რომ, პოეტის შეხედულებით, არა მორჩილებით და თავის დახრით, არამედ ბრძოლით შეიძლება აღმოფხვრა ძირიანათ ბოროტისა ქვეყანაზე და აი სწორედ ამ ბრძოლისაკენ იწვევს მგოსანი ხალხს და თვითონ კი კისრულობს მის წინამძღვრობას.

თავის შესანიშნავს ნაწარმოებში, „აჩრდილი“, ილია სცილდება თავის ქვეყნის საზღვრებს და ეხება საზოგადოდ შრომის კითხვას. ილიამ კარგათ იცოდა, რომ ფეოდალური უწყობილება არ არის ერთად-ერთი მატარებელი ბოროტებისა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს ფეოდალიზმი, საზოგადოება მაინც დიდ გაჭირვებასა და მონობას განიცდის. დასავლეთ ევროპის ცხოვრება ცხადად მოწმობს ამას. თურმე ამ თავისუფლების ქვეყანაში სოციალურ უთანასწორობის მიერ გამოწვეული ბრძოლა კლასთა შორის მეტად სასტიკი და შეუპოვარი ყოფილა. რით უნდა გათავდეს საბოლოოდ ეს ბრძოლა ან როგორ აქვს საზოგადოთ პოეტს წარმოდგენილი შრომის კითხვა? ამის პასუხს იგი იძლევა ქვემორე სიტყვებში, რომელიც მოგვყავს ჩვენი მწერლის ზემო-ხსენებულ პოემიდან:

შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი
ძლევა-მოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ცხოვრების დიადი ზვირთი
ამ ახსნისათვის მედგრათა იბრძვის.
ვეღარ გაუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ გაუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების...

პოეტი დარწმუნებულია, რომ ამ ბრძოლაში შრომა გამოვა გამარჯვებული და მხოლოდ მაშინ დამყარდება ქვეყანაზე ნამდვილი თავისუფლება, მოისპობა შუღლი და მტრობა ადამიანთა შორის:

შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთ-მოყვარების სახიერებით.

მაშინო, დასძენს მგოსანი, უქმ-სიტყვებად არ იქნებიან

ძმობა, ერთობა, თავისუფლება;
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთ-მოყვარება და სათნოება.

სუფევა იგი, პოეტის აზრით, იქნება

თანასწორადა ნიჭთა-მფენელი.

მისის მადლით წარწყმდება ძარცვა და რბევა და ერთგან დაიწყებენ „ძოვას ცხვარი და მგელი“.

როდის დამყარდება ეს სასურველი წეს-წყობილება? პოეტის აზრით ძველმა ქვეყანამ უკვე აიღო ალღო, რომ

დღე და დღე მისი წყობა ირღვევა
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.
მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ თვით ამაღლდები,
არც ვის ემონკი და არც იმონებ.
(„აჩრდილი“.)

ილია ნამდვილათ მიმდევარი იყო ამ ჰუმანიურ და მაღალ აზრებისა და სცდილობდა მათ გატარებას ცხოვრებიში. ეს იქიდანაც სჩანს, რომ 1870 წელს, როდესაც პარიზის რევოლუციურმა პროლეტარიატმა კომუნა გამოაცხადა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ვერ მიაღწია მიზანს და სასტიკად დამარცხდა, ჩვენმა მგოსანმა თანაგრძნობის ნიშნად პატარა ლექსი უძღვნა ბრძოლაში დამარცხებულს კომუნარებს და გულ-მტკივნულათ იმწუხარა შეფერხება დიდებულის საქმისა, რომელიც ხსნას ჰპირდებოდა კაცობრიობას. ზედ-მეტი იქნება სიტყვის გაგრძელება იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძეს ღრმად ჰქონდა შეგნებული თავის საუკუნის მოთხოვნილება და გულ-მოდგინეთ ადევნებდა თვალყურს არა მარტო თავის ქვეყნის ცხოვრებას, არამედ მთელის კაცობრიობისას. მისი საზომი შრომის კითხვაში არ იყო მარტო ჩვენი ცხოვრებისათვის გამოჭრილი. ის ეხება აგრეთვე ჩვენზე გაცილებით უფრო მაღლა მდგომ საზოგადოებათა ცხოვრებას და გასაკვირველი სისწორით სწყვეტს იქ წამოყენებულ სოციალ-პოლიტიკურს კითხვებს. ამ მხრით მან გამოიჩინა საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათის და მის ტენდენცია—ვითარების შეგნების ძლიერი უნარი და მით გვერდში ამოუდგა ბევრს გამოჩენილს მკვლევარს საზოგადო ცხოვრებისას. რაც შეეხება ჩვენს ცხოვრებას, მის დაწვრილებით ცოდნაში ხომ ტოლი არ მოეძებნება ჩვენში ილიას. ამით აიხსნება, რომ ილიამ ასე სისწორით და ზედ მიწევნით შეიგნო მისი საჭიროება—მოთხოვნილებანი და კიდევაც ემსახურა მას ნახევარი საუკუნის განმავლობაში. სხვა ქართველ გამოჩენილ მოღვაწეებისაგან ილია განირჩევა მით, რომ იგი იყო ერთად-ერთი ქართველი, რომელმაც დაიტია თავის ფართო ბუნებაში ყველა საჭიროებანი ქართველი ერისა. მას არ განუსაზღვრავს თავის მოღვაწეობა ერთის რომელიმე დარგით, არამედ ყველა წყლულს ერისას მოევლინა მკურნველ მალამოდ. ილია იყო ფარი და ხმალიც ჩვენის ქვეყნისა. ამოწვდილ ხმალს მტრისას, ჩვენს წინააღმდეგ მომართულს, ილია ფარათ დაუხვდებოდა, და საჭიროების დროს არ ითაკილებდა ხმლის ამოღებასაც თვის ხალხის მტრის წინააღმდეგ, თუ ამას საქმე მოითხოვდა. ამას ნათლათ ამტკიცებს მთელი მისი მოქმედება და პუბლიცისტური წერილები. **ქართველური შეგნება, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, სავსებით პირველად ილიას პიროვნებაში ხორციელდება, მაში პოულობს თავის გამოხატულებას.** ამ მხრით ილიას უჭირავს ცალკე, განმარტოებული ადგილი სხვა ჩვენ მოღვაწეებთან შედარებით და ყველა მათზე ზევით სდგას.

მართალია თანამედროვე ქართველობამ ვერ დააფასა იგი და ნაცვლათ ღრმა პატივისცემისა ტყვიით განუგმირა კეთილშობილური გული, მაგრამ მისის ღვაწლის დამფასებელნი იქნებიან მომავალი თაობანი, რომელნიც შეიგნებენ პოეტის აზრებს, მის სულის-კვეთებას და სწრაფვას, და ღირსეულს მსჯავრსაც დასდებენ. დასასრულ მსურს დაუბრუნდე ამ წერილის საგანს და ზემო თქმულიდან შესაფერი დასკვნა გამოვიყვანო.

ჩვენ დავინახეთ, რომ ილიას პოეზიაში სოციალურ კითხვებს დიდი ადგილი სჭერია, დავინახეთ ისიც რომ კითხვები პოეტს დიდის ნიჭით და დაკვირვებით აქვს შესწავლილი; იმას ეგრეთვე ძლიერ კარგათ ჰქონია შეგნებული თავის დროის მოთხოვნილება — საჭიროებანი და ფრიად გარკვეულ სოციალ-პოლიტიკურ გზაზედაც მდგარა. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ჩვენი მგოსანი იყო შეგნებული მქადაგებელი თავის აზრებისა, ე. ი. მას ჰქონდა ფრიად გარკვეული პროგრამა მოქმედებისა, გაცნობილი იყო როგორც თანამედროვე ცხოვრებას, ეგრეთვე ნათლათ ჰქონდა წარმოდგენილი ის საზოგადოებრივი წყო-

---

*) იხ. „სახალხო გაზ.“ N 129.

ზრახული გვქონდა ქალაქი ხელში ჩაგვეგდო. მეტი ლოდინი აღარ შეიძლებოდა, რადგანაც შესაძლო იყო შეთქმულების გამჟღავნება, მით უმეტეს, რომ მთავრობამ ეჭვი აიღო და ამ ღამისათვის ნავთსადგურში მდგარ საომარ გემებს „დონ-კარლოსს“ და „სან-რაფაელს“ უბრძანა დილა ადრიან ზღვაში გასულიყო. ამ სახით სამხედრო მთავრობას სუროდა, რომ სამხედრო გემები თავიდან მოეცილებინა.

აჯანყების მეთაურობა და ხელმძღვანელობა ვიცე-ადმირალმა კანდიდო რეისმა იკისრა.

შუა ღამის პირველ საათზე, ერთმა სამხედრო გემმა უყუმბარო (მხოლოდ წამლით გატენილი) ზარბაზანი დასცალა. ეს იყო წინდაწინვე დანიშნული ნიშანი აჯანყების დაწყებისა.

იმ წამსვე რესპუბლიკანელი ხალხი, სტუდენტები, მუშები და სოფლიდან ჩამოსული გლეხობა შეიკრა ქვეითა ჯარის მეთექსმეტე პოლკის ყაზარმაში. (ამ პოლკის საპატიო შეფად ითვლება ესპანიის მეფე ალფონს მეცამეტე.) აქ მათ მიემხრნენ წინდაწინვე გამზადებული ჯარის კაცები და შეიარაღდნენ.

რამდენიმე ოფიცერი და ჯარის კაცი, რომელნიც რევოლუციონერებს არ მიემხრენ, იქვე დახოცეს. შეიარაღებული ხალხი და ჯარისკაცები, აქედან არტილერიის პირველ პოლკისაკენ გაემართნენ, ისინიც მიიმხრეს. შემდეგ მათ დაიჭირეს ის მაღლობები, რომელიც ლისაბონს დასცქერის.

ამავე დროს თვით ქალაქში სიცოცხლე სდუღდა: ქუჩებში მიტინგები იმართებოდა, პოლიციასთან შეტაკება ბევრგან მოხდა.

მოძრაობას ხელი შეუწყო ცნობილ ექიმის ბომბარდოს მოკვლამ. ბომბარდო ცნობილი რესპუბლიკანელი იყო. იგი ერთმა გადარეულმა ოფიცერმა მოჰკლა. მთელს ქალაქს მოედო ხმა: „კლერიკალმა ოფიცერმა მოჰკლა რესპუბლიკანელი!„ ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა ქუჩებში. პოლიცია და ჟანდარმერია უდიერად სცემდა და ჰფანტავდა ხალხს. ამან ხომ ცეცხლზე ნავთი დაასხა და ხალხის გულისწყრომა გაორკეცდა, მეორეს მხრივ ბომბარდოს მოკვლამ მთავრობაც გააფხიზლა. მას ჯარი გამზადებული ჰყავდა, მოსალოდნელ არეულობის ჩასაქრობად.

ამან ხელი შეუშალა მეზღვაურებს, რომ პირველ ნიშანზედვე რესპუბლიკანელებს შეერთებოდნენ, რადგან შუაში მთავრობის მომხრე ჯარები იყო გაჩხირული.

თავგანწირული ბრძოლა დაიწყო. რევოლუციონერთა ზარბაზნები „კამპანეტოდან“ ჰქუხდა, მათ პასუხს აძლევდა მთავრობის ჯარი.

ამავე დროს ქუჩებში ხელჩართული ბრძოლა იყო. ხალხი ებრძოდა პოლიციასა და ჟანდარმერიას.

შუადღის პირველ საათზე ერთბაშად ორი გემი „ადამასტორი“ და „სან-რაფაელი“ სასახლის პირდაპირ გაჩერდნენ და სასახლეს ზარბაზნები დაუშინეს.

ორ საათზე მეფე უკვე გაიქცა ლისაბონიდან.

მაშინ რესპუბლიკის გემებმა გეზი შეიცვალეს და ზარბაზნის ცეცხლი მთავრობის ჯარებისაკენ მიმართეს, რომლებიც ალყად შემორტყმოდნენ მეზღვაურთა ყაზარმებს.

მთავრობის ჯარებმა მალე იგრძნეს მოწინააღმდეგეთა სიძლიერე და ზურგი უჩვენეს გაიქცნენ.

მეზღვეურთა ყაზარმებიდან „მარსელიეზის“ სიმღერით გამოვიდნენ მეზღვაურნი და ნავებით რესპუბლიკანელთა სამხედრო გემებზე გადავიდნენ. მაშინ სამხედრო გემებმა ტახო გასცურეს და მეფის მომხრე ჯარების გასწვრივ გაჩერდნენ. ამ გვარად მთავრობის ჯარი ორ ცეცხლ შუა მოჰყვა. ზევიდან მას ცეცხლს აწვიმებდნენ „კამპამენტოს“ მაღლობები, ქვემოდან კი ტახოზე გაჩერებული გემები.

ამ სტრატეგიულმა ხერხმა გადასწყვიტა რევოლუციის ბედი: მთავრობის რაზმებმა რიგ-რიგად იარაღი დაჰყარეს და რესპუბლიკელებს დამორჩილდა. მეორე დღეს, მთელი ქალაქი რევოლიუციონერთა ხელში იყო.

დილის ათ საათზე, ქალაქის საბჭოს შენობაზე რესპუბლიკის დროშა ფრიალებდა და მაშინვე არჩეულ იქმნა დროებითი მთავრობა. აირჩიის ყველგან და ყველასაგან ცნობილი მოღვაწენი, მომეტებულად პროფესორები.

რესპუბლიკის გამარჯვება ერთმა ამბავმა დაამწუხრა. რესპუბლიკელთა სამხედრო ძალის სულის ჩამდგმელი მეთაური, ვიცე-ადმირალი კანდიდორეისი, ლისაბონის ყრუ ქუჩაში მოკლული ნახეს. იგი აჯანყების დაწყებიდან ოთხის საათის შემდეგ მოეკლათ: მაგრამ ეს ამბავი არ გამხილეს, რომ რევოლუციონერ ჯარებს გული არ გასტეხოდათ. მაინც რევოლუციის დასრულებამდე ყველა ჯარებს ეგონათ, რომ მათი სარდალი კანდიდო იყო. მის მოკვლას ორ გვარად ხსნიან.

ერთნი ამბობენ, ვითომ მას რევოლუციის გამარჯვებაზე ეჭვი შეეპარა და თავი მოიკლაო.

სხვათა აზრით კი კანდიო, ბრძოლის დროს, განთიადისას ერთი ადგილიდან მეორე ადგილას მიეშურებოდა ყრუ ქუჩებით, აქ რომელიღაც მონარქისტმა იცნო იგი და მოჰკლაო.

როდის აღიარებენ კანონიერად პორტუგალიის რესპუბლიკას?

დროებითმა მთავრობამ განაცხადა, რომ ლონდონსა, პარიზსა, რიო დე ჟანეიროსა და ბერლინში ჯერ ელჩები არ დაგვინიშნავსო.

პორტუგალიის მთავრობას იმედი აქვს, რომ გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი რესპუბლიკას მიიჩნევენ და კანონიერად აღიარებენ მაშინვე, როდესაც კი ამ სახელმწიფოებში ელჩები დაინიშნება.

დროებითმა მთავრობამ ცნობა მიიღო საფრანგეთისა, იტალიისა და ისპანიის მთავრობათაგან, რომ პორტუგალიიდან განდევნილ იეზუიტებს ჩვენს მიწა-წყალზე არ დავაყენებთო.

სასახლის ვალები.

დროებით მთავრობას სასახლის მოიჯარადრეებმა ანგარიში წარუდგინეს და ნისიის განაღდებას თხოულობენ. მარტო ერთი ყასაბი, რომელიც ნადირის ხორცს აძლევდა მეფის სასახლეს—10,000 მანათს ედავება.

სანოვაგის ვალი განსვენებულ მეფე კარლოსის დროიდან 150,000 მანათია დარჩენილი.

პორტუგალიის ახალშენების ბედი.

ერთი გერმანული გაზეთი აღნიშნავს, რომ პორტუგალიის ახალშენების დანაწილებაში გერმანია და ინგლისია დაინტერესებული.

ამ გზით მათა სურთ, რომ ახალშენებში მოსალოდნელი არეულობა თავიდან აიცილონ. ამაზე მით უმეტეს ზრუნავენ ეს სახელმწიფონი, რომ ეფიქრებათ მოძრაობა მათს აფრიკულ ახალშენებსაც არ მოედოს.

ლონდონის ერთი გაზეთი სწერს, ამავე საკითხზე, რომ პორტუგალიის ახალშენთა ბედი არამც თუ აინტერესებს სახელმწიფოებს, არამედ საგონებელშიაც აგდებს, მით უმეტეს რომ ამ საკითხის გადაწყვეტას, შესაძლოა, ომიანობაც მოჰყვესო.

პორტუგალიის დროებით მთავრობას განზრახვა აქვს თავის ახალშენებს ავტონომია მიანიჭოს, მაგრამ გერმანია და ინგლისი ეჭვობენ, რომ ამ ახალშენებმა შესძლონ თავისთავის მოვლა და პორტუგალიის მიერ მინიჭებულ პასუხის მგებლობის პირნათლად გაძღოლა საერთაშორისო დამოკიდებულებაში.

წერილი სოფლიდან

„სახალხო გაზეთი“-ს № 88 ნომერში მოთავსებულმა მცირედმა, მაგრამ მეტად საყურადღებო წერილმა ბ-ნის ქალაძისამ განცვიფრებაში მომიყვანა. ამ წერილში იგი ქართველ მშობლებს რუსიფიკატორობას სწამებს და ამართლებს მთავრობის იმ მონა მორჩილ სადირექციო სკოლების მასწავლებელთ, რომლებმაც უარყვეს ის მცირეოდენი 81 წლის გეგმაც კი, რომელიც უმაღლეს მთავრობისაგან ორგზით გამტკიცებული და ნება დართულია და რომელთა მეოხებით დღეს სასკოლო მთავრობა ავალებს მასწავლებელთ, რომლებიც ამ გეგმით ასწავლიან, დაუბრუნდნენ ძველს პროგრამას.

მე არ შემიძლია კორესპონდენტის გურულ მშობლებზე შთაბეჭდილება შეცდომად ჩავთვალო, რადგან იქ არ მიმსახურია და არც დაახლოვებით ვიცნობ მათ, მხოლოდ თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ზემო იმერეთში, სადაც მე ვმსახურებ, ჯერ ჩემს ყურს არ სმენია მშობლებისაგან ქართული ენის სწავლების შესახებ საყვედური. უკმაყოფილება სკოლებზე გამიგონია მშობლებისაგან, მაგრამ არა იმიტომ რომ ვითომ იქ რუსული ენის სწავლებას ნაკლები ყურადღება ექცევოდეს, არამედ მიტომ, რომ მოსწავლეებს დღევანდელ სკოლებიდან არავითარი ცოდნა არ გამოაქვსთ, თუთიყუშივით რუსულიდან შესწავლილი ორიოდე ლექსი და მოთხრობა სკოლის მოშორებიდანვე ბავშებს ავიწყდებათ, ქართულ ენაში არავითარი მომზადება არა აქვთ და ორი სამი წლის შემდეგ, დიდიან სკოლის მოშორებისა, უბრალო ბარათის დაწერაც კი უძნელდებათ. სკოლებისადმი საყვედური მშობლებისაგან ეს არის და არა რუსული ენის ნაკლები ყურადღების მიქცევა. რუსულ ენას რომ ნაკლები ყურადღება არა აქვს მიქცეული, პირიქით, უფრო დიდი დრო აქვს დათმობილი ქართულ ენაზე, ამას ამტკიცებს სადირექციო სკოლების გაკვეთილების შემდეგის განაწილებიდან.

	პირ. გან. ½ წ.	ბ. გ. ½	მეორ. გან.	მეს. გან.	მე-4 გან.	მე-5 გან.
ქ. ენა წერით	12 გაკ.	6 გაკ.	6 გაკ.	6 გაკ.	4 გაკ.	4 გაკ.
რუს. ენა	წ. 6 „	8 „	10 „	6 „	7 „	

საგნებს განსაკუთრებით ქართულ ენაზე არც ერთ წელიწადს არ ასწავლიან. პირველ სამ განყოფილებაში გადიან ვრცლად გოგებაშვილის „Русское Слово“-ს პირველსა და მეორე ნაწილს, გარდა ზოგიერთ ლექსის იგავ-არაკებისა. მეორე და მეხუთე განყოფილებაში კი სხვა და სხვა ავტორების სახელმძღვანელოებს. ქართულ ენაში ასწავლიან იმავე ავტორის „დედა-ენას“ და უმეტესად „ბუნების კარს“. ასწავლიან მხოლოდ რჩეულ ლექსებს, მოთხრობებს და იგავ—არაკებს. ზოოლოგიურს, ბოტანიკურს, ფიზიკურს და გეოგრაფიულ განყოფილებებს თითქმის (სახეში მაქვს უმეტესობა) სრულად არ გადიან. ამას უნდა დავუმატოდ კიდევ ის გარემოება, რომ ქართულ ენას მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს, მისი უცოდინარობა თვალში ნაკლს არ შეადგენს და ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი ყურადღება ჰქონია მას მოქცეული და შეიძლებოდა თუ არა მშობლებს საყვედური გამოეცხადებიათ ასეთ სკოლების მასწავლებლებისათვის, კიდეც რომ იგინი რუსიფიკატორული სკოლის დიდი მომხრენი ყოფილიყვნენ. ასე რომ, ბ-ნ ქალაძის შთაბეჭდილება, იმ მშობლებთან შედარებით, რომლებთანაც მე დაახლოვებული ვარ ყოველივე სიმართლეს მოკლებულია. დიდად დაგვავალებს ბ-ნი ქალაძე გაზეთის შემწეობით გვაცნობებს, თუ გურიის რომელ სოფელში მოიპოება ისეთი სადირექციო სკოლა, სადაც ქართულ ენას მეტი ყურადღება აქვს მიქცეული. ვიდრე რუსულ ენას, რომელსაც გამოუწვევია მშობლების მხრით მასწავლებლებისადმი საყვედური, ჩვენ ასეთი სადირექციო სკოლა სიზმრადაც არ დაგვესიზმრებია, არამც თუ ცხადად გვენახოს და უკეთუ გურიაში ასეთი სკოლები მოიძებნება და მშობლები კი საყვედურს აცხადებენ, ამაზე პრესის გაჩუმება, რო[illegible] „სახალხო გაზეთი“-ს მეთაური სამართლიანად აღიარებს, ვნებას მოიტანს და არა სარგებლობას.

ხოფ. მასწავლებელი.

მოწერილი ამბები

კახეთი. დიდიდან—სადამდე მეურნეობას შესაფერისი სარგებლობა ვერ მოაქვს კახელ გლეხისათვის. ამისი მიზეზი არის უცოდინარობა და შეუგნებლობა საგნისა.

მთელ კახეთში ერთად-ერთი სამეურნეო სასწავლებელი არის საცხენისის სამეურნეო სკოლა, რომელიც ყვარელში არის გადმოტანილი. სარგებლობა და ნაყოფი ამ სასწავლებლისა ძალიან მცირეა. მთელი კახეთი დაშორებულია ამ სკოლისაგან და ამიტომ კახელებს ჯეროვნადაც ვერ ეხმარება.

რიგიანი სამეურნეო სასწავლებელი საქმით და არა მარტო ქაღალდზე აღნიშნული. აი, რა არის საჭირო მთელი კახეთისათვის. ამისთანა სასწავლებლის შექმნა-დაარსებას ხელს უწყობს ადგილმდებარეობა და ერთმანეთზე გადაბმული დიდრონი სოფლები.

ამ ჟამად კი გლეხმა არ იცის სად რა დათესოს, რას უფრო „ბაზარი“ აქვს, რა უფრო გამოსადეგია. ავიღოთ მაგალითად, ღვინის დაყენება. ღვინის დაყენება ისევ ძველებურად არის. იქამდე აქვთ ხოლმე თხლეზე ღვინო, ვიდრე არ დამწარდება. საფერავსაც კლერტიანად უშვრებიან, რაც მარტო წედარტავს ღვინოსა, სადღებავი-კი მარტო ხენეშია, მაშასადამე, მარტო ხენე რომ უყონ, ღვინო უფრო გემო წმინდა დადგება.

ფეხით რაც უნდა კარგად დასწურონ ყურძენი, ღვინო მაინც ბლომად მისდევს თხლეს, საქაჯავებს-კი რომ ხმარობდნენ, ღვინო უფრო მეტი დაუდგებათ.

ავიღოთ ახლა ღვინის ამოღება. არის ისეთი იარაღი ღვინის ამოსაღებად, რომლის წყალობითაც ერთი ცვარიც არ დაიღვრება და არც მეტი გადაჰქვება. ჩვენი სირაჯები-კი ისე ოსტატურად მოუკრავენ ხოლმე ხელჩაფს პირს დაზედით, რომ თითო ხელჩაფს თითო ჯამი ღვინო გადასდის. ეგება ეს შეუმჩნევლად ჰგონია გლეხს, მაგრამ პატრონი ვინ არის?

გარდა იმისა, რომ ღვინის რწყვის დროს სირაჯები თუ მათი აგან-ზაგანნი უსინდისოდ ატყუებენ გლეხებს დიდ თინსაც უშვრებიან: მაგალ., შეიკრიბებიან ერთად სირა-

---

ბილება, საითკენაც უხმობდა ხალხს. ამასთან ერთად პოეტს ჰქონდა კარგად გათვალისწინებული ის გზა და საშუალებანი, რომლის წყალობითაც შესაძლოა გარდაქმნა ძველის ცხოვრებისა და მის ნაცვლად ახალ წყობილების დამყარება. თუ თავის სიცოცხლეში იგი ვერ მოესწრო თავის აზრების განსახორციელებას, ამითი სრულიად არ მცირდება მისი ღვაწლი და მნიშვნელობა. საყურადღებო ის არის, რომ ყველა დღეს ჩვენში არსებულნი მიმართულებანი აზრისა აღმოცენებულნი არიან დიდებულ მგოსნის მიერ ნასროლ თესლზე და მათმა წარმომადგენლებმა ილიაში უნდა ეძიონ თავის მამა-მთავარი და წინამორბედი.

ა—რე თორაძე.

სამშობლოს გარედ

(წერილი პეტერბურგიდან)

ლექციების კითხვა დიდი ხანია დაიწყო. ყველაფერი თითქმის ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა, ყველაფერი მილაგდა, დაეწყო მხოლოდ, ხანდახან, შეიძლება მოჰკრა თვალი სტუდენტს, რომელიც გაჩქარებით მიეშურება ლექციებზე ჩასაწერად.

ყველას თავისებური ელფერი გადაჰკვრია, ყველა დაჩუმებულია. ზოგი აღმა, ზოგი დაღმა თავჩაღუნული, მოწყენილი მიეშურება და მათ სახეზე სასიხარულო, სამხიარულო არაფერი სწერია. ისეთი შთაბეჭდილება გამოაქვს კაცს, თითქოს ამ დენ ახალგაზრდას საერთო არაფერი არა ჰქონდეთ. ყოველი მათგანი ცალკე, პირადი ინტერესების, კარჩაკეტილობის გამომხატველია... შეიძლება ასეთი გარემოება იმით აიხსნებოდეს, რომ ჯერ შემთხვევა არ ყოფილა ერთსულოვანება გამოეჩინათ, შეთანხმებული მოქმედებისათვის ერთმანეთი მოეწვიათ. ასეთი შემთხვევების შექმნა კი ძლიერ ძნელია: საჭიროა გარეშე პირობებმა ხელი შეუწყოს და ყველასათვის საინტერესო, საჭირბოროტო საკითხი თვალწინ მკაფიოდ წამოუყენოს. ასეთ საკითხად კი, გადაჭრით შეიძლება ითქვას,—შვარცის საუნივერსიტეტო კანონ-პროექტი იქმნება. შვარცის გასვლის შემდეგ სამინისტროდან თითქოს რაღაცა მძიმე, მოუხეშავი, მაჯლაჯუნასავით მახინჯი ჩამოეცალა გზიდან კერძოდ სტუდენტობას და საერთოდ ყველა სასწავლებელს და მოსწავლეს. მაგრამ შვარცის წასვლა ჯერ-ჯერობით იმდენს არაფერს გვეუბნება. იგი წავიდა, მაგრამ პროექტი სახელმწიფო სათათბიროში დარჩა.

ახალი მინისტრი ბ. კასსო კი ჯერ ჩუმადაა და თუ ეს სიჩუმე მის სოლიდარობას გამოხატავს შვარცის პროექტისადმი, მაშინ კი საქმე შეიძლება სულ სხვანაირად დატრიალდეს, აი, სწორეთ მაშინ სტუდენტობისთვის შეიძლება შფოთიანი დღეც დადგეს.

ხმები დადის, ვითომ ახალი მინისტრი შვარცის აზრისა არ არის და უფრო ლიბერალურ გზას დაადგება, მაგრამ ეს ჯერ **საკითხია** ხოლო კანონ-პროექტი რომ არ გაგამოიტანა სათათბიროდან ეს კი **ფაქტია**...

ამბობენ აგრეთვე, რომ მინისტრი კასსო შეასწორებს ძველ კანონ-პროექტს და ახალს კი არ შეიმუშავებსო... ესეც საგულისხმოა. განა ახლა შესაძლოა ვისიმე ნდობა? მართალია ცოტაოდენი იმედი არის, რომ **რამე** შეიცვლება, რადგან ბ. კასსო პროფესორადაა ნამყოფი, სტუდენტობას ახლო იცნობს და შეიძლება იცოდეს მისი საჭიროება. თუ კი ქართული ანდაზა „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსა“ო მართალია, მაშინ თუ ზნე არა, შეიძლება ფერი მაინც გამოიცვალა ახალმა მინისტრმა... ვნახოთ რა იქნება..

სტუდენტების ერთმა ნაწილმა განიზრახა დაარსოს სტუდენტების ორგანო ქ. პეტერბურგში. ამ საქმის დამწყებნი კადეტი—სტუდენტები არიან. მათ ასეთი წინადადებით მიმართეს უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტთა ყველა ორგანიზაციებს მემარჯვენეთა გარდა. მათ სურთ მომავალი ორგანო პროგრესიული მიმართულებისა იყოს.

მე მგონია აზრი სიმპატიურია და მოსაზრებულიც. სიმპატიურია იმიტომ, რომ ბევრი საკითხია ისეთი, რომელიც თხოულობს ყოველ-მხრივ განხილვას, აწონ-დაწონვას, გათვალისწინებას. ამას გარდა განაპირა ქვეყნების სტუდენტთა მონაწილეობის მიღება სასურველი უფრო იმ მხრივ არის, რომ შეიძლება ერთმანეთის გაცნობა, ერთმანეთთან ლაპარაკი. ამხანაგი ამხანაგს უფრო მალე გაუგებს და უფრო მალე მიხვდება, რაც უნდა სთქვას და ან რაც ესაჭიროება. დღეს თუ ხვალ ცხოვრებაში გამოსვლას მოელიან და საზოგადო ასპარეზზე მუშაობას შეუდგებიან, თანამოაზრეთა, მეგობართა ყოლა უცხო ინტელიგენციაში აუცილებლად საჭიროა და ამისთვის კი სტუდენტთა საერთო ორგანო ხელის შემწყობი, ყველას შემაერთებელი იქმნება.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ მემარცხენე სტუდენტები თხოულობენ ჟურნალი კადეტთა პარტიის ორგანოებზე უფრო მემარცხენე იყოს. ასეთი მოთხოვნა ჩვეულებრივია და სამართლიანიც... ან სულ ნუ იქნება პარტიული, ან და მემარცხენე იდეების მატარებელი უნდა იქნეს. თუ კი ამ ნიადაგზე შეთანხმება მოხდა, მაშინ საქმე უკვე დაბოლოებული იქნება და პეტერბურგის სტუდენტობას საკუთარი ორგანო დაუარსდებათ.

სხვათაშორის წინადადება ქართველ სტუდენტობამაც მიიღო და სათვისტომოს გამგეობამ გადასწყვიტა მოსალაპარაკებლად ორი თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა. შედეგი, საერთოდ, ზევით იყო დასახელებული. მთელი ქართველი სტუდენტების აზრი ამის შესახებ ჯერ არ ვიცით, რადგან კრება არ გვქონია და ერთის მხრით კი იგი ძლიერ საინტერესოა, მაგრამ ამაზე შემდეგ.

საერთოდ, თუკი დასაბამი მიეცა, ძლიერ კარგი დასაწყისია და შედეგიც მე მგონია უნაყოფო არ იქნება. საჭიროა ყოველგან მუშაობა, რომ ჩვენი სტუდენტობა უფრო მომზადებული გამოვიდეს სამშობლოს ცხოვრების ასპარეზზე.

⁂

ფრენის კვირა პეტერბურგში, ნამდვილი დღესასწაული იყო რუსეთისათვის. მართალია რუსებისა მხოლოდ თვითონ მფრინავნი იყვნენ და აპარატები კი უცხოელებისა—მაგრამ მას მაინც რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე როდესაც ავიატორები თავის მანქანაზე შავარდენივით ჰაერს მედგრად აპობდნენ და სასიამოვნო, ლამაზი ფრენით აუარებელ ხალხს თავზე ევლებოდნენ.

ტაშის ცემა, ურას ძახილი, სიხარული, სიამოვნება ერთმანეთში ირეოდა, მაგრამ აზრი კი ამ საერთო სიხარულისა, ერთი იყო: იმედი, სიყვარული და სიამპარტავნე.

იმედი მომავლის, იმედი იმისა, რომ რუსეთსაც შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს კაცობრიობის კულტურაში, იმედი იმისა, რომ რუსეთსაც ეყოლება საკუთარი შავეზი: სიყვარული—მათდამი, ვინც თავის სამშობლოს სახელსა ჰმატებდა საოცარი გამბედაობით, თავის განწირვით და ენერგიით.

მაგრამ სიტკბოებას ხშირად მწარეც თან ახლავსო, ნათქვამია, და, აი, ერთ დღეს მთელ ქალაქს ელვის სისწრაფით მოეფინა კაპ. მაციევიჩის სიკვდილის ამბავი იგი გადმოვარდა 490 ადლის სიმაღლიდან და მამაცური, ვაჟკაცური სახის პატრონისაგან არაფერი არ დარჩა. ეს დღე და შემდეგიც სამგლოვიარო დღედ გადაიქცა პეტერბურგისათვის. აუარებელი ხალხი დაესწრო მის განსვენებას: ყველას სურდა ერთხელ მაინც, უკანასკნელად გადაევლო თვალი მამაცი მფრინავისათვის და ის ადამიანს. რომელსაც იმის წინა დღეებში ტაშის ცემით, ურას ძახილით ხვდებოდა, ახლა „განუსვენოთი“ გაეცილებია. მართლაც, სამწუხარო შესახედავი იყო, როცა სამხედრო დირიჟაბლი მოფრინდა ალექსანდრე ნეველის ლავრაში, სადაც ესვენა მაციევიჩი და თავს დასტრიალებდა უსულო გვამს. უკანასკნელად გამოეთხოვა იგი თავის თანამოძმის ცხედარს და დაობლებული ისევ გაფრინდა...

მაციევიჩი ძლიერ დახელოვნებული ავიატორი იყო და გამბედავიც. შეიძლება მეტი-მეტმა გამბედაობამაც მოუღო ბოლო უდროოდ ჯერ კიდევ სასარგებლო ადამიანს, მაგრამ თუ გამბედაობა არ არის, მაშინ არც პროგრესი შეიძლება.

შოთა დ—იანი.

ჯები, მოილაპარაკებენ ვინ სით წავიდეს და რა ფასებში იყიდონ ღვინოები. ერთი თუ შვიდ თუმანს შეაძლევს საპალნეში (32 ჩაფი), მეორე სულ აფუჭებს ამ ღვინოს და ხუთ თუმანზე მეტს არ აძლევს. გლეხმაც რა ქნას; ხარჯები გასასტუმრებელი აქვს და აწუხებენ, პური არ მოუვიდა სამყოფი და მაშასადამე, ზამთრისათვის უნდა მოიმზადოს სარჩო, ეშინიან ღვინის გაფუჭებისა და ამბობს, ვაი თუ ზამთარში და გაზაფხულზე აღარ იყოს მუშტარი და რა წყალში გადავარდეთ. ყველა ამათის წყალობით ხშირად ერთი მეზობელი მეორეს ეცილება და უფრო ნაკლებ ფასად აძლევს ღვინოს ვიდრე პირველი, სირაჯიც მოხერხებულად სარგებლობს ამითი.

სწორედ აქ უნდა გლეხს პატრონი. რას აკეთებს ჩვენი სამეურნეო საზოგადოება, ქალაქში არსებობა და თბილ ოთახებში კარ ჩაკეტილობა სარგებლობას ვერავის შესძენს. ამ საზოგადოებამ უნდა სხვა-და-სხვა იარაღი მიაშველოს გლეხს და სამაგიეროდ, თუნდაც, გადასახადი დააწესოს. ასწავლოს რიგიანი დაყენება ღვინისა ქადაგებით კი არა, როცა დრო არის, გაგზავნოს მცოდნე პირები და საქმით შეასწავლოს ღვინის მოვლა-დაყენება.

კახური ღვინის—ამ მთელ კუთხის სიმდიდრის ერთად ერთ წყაროს—ფასებს ისიც ძალზე აფუჭებს, რომ დიდი თუ პატარა ყველა თავის ღვინოს ასაღებს კახურ ღვინის სახელით. ტფილისში ყველა სარდაფებს აწერია: კახეთის ღვინო, ალაზანი, წინანდალი, კარდანახი, ახაშენი და სხვა. ახლა ვიკითხოთ, სად მიდის ერევნის, განჯის და რაჭების ღვინოები? შარშან გაზეთებში ეწერა, რომ მოსკოვში ღვინო ბევრად ნაკლები შემოდის ვიდრე გადის. აქაც ასეა. კახეთიდან თუ ათას „ვედრას“ ჩამოიტანენ, ათი ათასი სხვა მხრიდან მოაქვთ და თან უსირცხვილოთაც კი ბევრი მათგანი იფიცავს, კახური ღვინითა ვვაჭრობთ.

მოტყუება „კანონის“ ძალით აკრძალულია. კახური ღვინის სახელით ერევნის ღვინის გაყიდვაც მოტყუებაა, მაშასადამე, სამართალში უნდა მიეცეს იმისთანა ვაჭარი, რომელიც კახურ ღვინოს სახელს უტეხავს.

ვისი მოვალეობაა აღმოაჩინოს ამისთანა მოტყუება? ჩვენის აზრით, იმ საზოგადოებისა, რომელიც ატარებს სახელს „სამეურნეო საზოგადოებისას“.

დიდ სამსახურს გაუწევს მთელ კახეთს და აღორძინების გზაზე დააყენებს მას ეს საზოგადოება, თუ „კანტროლს“ დაუნიშნავს, რომ ყალბის მოწმობით მდარე ღვინო კახურის სახელით არა გაყიდონ. **კახიანთ ხეველი.**

კავკავი. კავკავში სულ ოთხას-ხუთასი ქართველობა სცხოვრობს. უმრავლესობა წვრილი ვაჭრებია.

მიუხედავად ამისა, აქაურ ქართველებს აქვთ: საკუთარი ეკლესია, სკოლა, ბიბლიოთეკა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება. ყველაზე შემოსავლიანი დაწესებულება ისევ თეატრია, მაგრამ, სამწუხაროდ, კარგ ნიადაგზე ვერ არის დაყენებული. ის სამი-ოთხი წარმოდგენა, რომელიც წელიწადში იმართება სკოლისა და სხ. სასარგებლოდ, ვაი-ვაგლახით იმართება და საკამათო ხდება ხოლმე. ჯერ ერთი, სცენის მოყვარენი ცოტანი არიან, ხოლო თუ როგორმე თავი მოიყარეს, უნდა ითამაშონ ის, რასაც სკოლის გამგეობა უბრძანებს. ასეთი პირობები კი დიდ აურ-ზაურს იწვევს ხოლმე და თეატრის საქმე ვერ მიდის კარგად. კავკავის ქართველები, გამწყრალნი არიან თეატრზე, და ქუდი რომ შეუგდო, გამოსატანად არ შევლენ შიგ, ბილეთებს რომ ძალად ხელში აჩეჩებდნენ.

ამ ბოლო დროს, ქ-ნ ფუასის თაოსნობითა და ორი-სამი პირის მეცადინეობით, მოიყარეს თავი აქაურმა სცენის მოყვარენმა და გამართეს კრება. მსჯელობა ჰქონდათ, თუ როგორ ნიადაგზე დაეყენებინათ აქაურ სცენის ბედ-იღბალი. კრებამ, ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ, სასურველად სცნო, შესდგეს ოფიციალური წრე, მთავრობის დამტკიცებით, და იმართებოდეს სისტემატიურად, იაფ-ფასიანი წარმოდგენები, გარდა ხუთი ექვსი წარმოდგენისა, რომელიც დაეთმობა სკოლას თავის სასარგებლოდ. კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც წესდების შედგენა დაავალა. (წრეს ოფიციალურად ერქმევა „ქართული დრამატიულ-მუსიკალური წრე“).

კომისიამაც შეიმუშავა წესდება და საერთო კრება მოიწვია. კრებამ მოიწონა კომისიის აზრი და წესდებაც დაამტკიცა. ამავე კრებამ შეიმუშავა მოხსენება სკოლის გამგეობის მიმართ და ზოგიერთი მოთხოვნილებანი წარუდგინა. სხვათა შორის, მოითხოვა, რომ თეატრი ახლად დაარსებულ წრეს გადაეცეს—ეს შუამდგომლობა გამგეობისაგან დაკმაყოფილებულ იქმნა.

ბოლოს წრემ აირჩია ხუთი კაციდან შემდგარი მართველობა. ესენი არიან: ქ-ნი ფუასი, ნ. ყაზბეგი, მ. ფუასი, გ. არველაძე და ე. კაკაბაძე; კანდიდატებად: კნ. ელ. ხიმშიევისა, გ. რაზმაძე და კახიანი. არჩეულ იქმნა აგრეთვე რეპერტუარის შემდგენი კომიტეტი, სარევიზიო კომისია და სხ.

გამგეობა წესდებას ამ დღეებში გადასცემს მთავრობას დასამტკიცებლად; ვიდრე მთავრობა წესდებას დაამტკიცებდეს, წრე მაინც ეცდება ჰმართოს წარმოდგენები. კიდეც აირჩიეს პიესა „ორი ობოლი“, რომელსაც ამ დღეებში ითამაშებენ.

ჯერ-ჯერობით ყველა წევრი წრისა გულმოდგინედ ეკიდებიან ამ სანატრელ, საერო საქმეს. ვუსურვებ მათ ენერგიული შრომით, აუვავებულიყოს ჩვენი პატარა, ღარიბი სცენა. იმედია კავკაველი ქართველებიც მხარს დაუჭერენ ამ ახალ წრეს. **მე ვარ.**

შეწირულება.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავად დავით ივანეს ძე ლეონიძისგან მიიღო შემდეგი შეწირულებანი: 1) ცხენის სურათიანი, ორი ფრიად საყურადღებო დიდი ბადია, სპილენძისა და ბრინჯაოსი, ბრინჯაოს საუკუნისა—ნაპოვნი ერთი კაცხის და მეორე საჩხერის სასაფლაოში;

2) სპილენძის პატარა ბადია, ზედ გამოხატული კაცის თავით;

3) შუაში ოქროთი დაფერილი და გარშემო ვერცხლის სურათებიანი არშიებით მაცხოვრის ხატი (დაზიანებულია).

4) რომაულ ხელობის ვერცხლის კოვზი, რომლის ტარზე გამოყვანილია ზღვის დორის (დელფინის) სახე; თვით კოვზზე დახატულია ანკესით თევზის მჭერავი კაცი;

5) ორმოცი სხვა და სხვა ძველი ფული—23 ვერცხლისა და ჩვიდმეტი—სპილენძისა. სპილენძის ფულებ შორის ერთია ალექსანდრე მაკედონელისა, სამი—ბიზანტიური, ექვსი მუსულმანური, ექვსი რუსული, ერთი კიდევ ფულის მზგავსი ჟეტონია. ვერცხლის ფულებ შორის, ოთხი ქართულია, ერთი—ბიზანტიური, სამი—არაბული, ერთი კოლხური (ხვასტაგი), ერთი სასანიანთ დინასტიისა, ერთი პოლონური და დანარჩენი მუსულმანური—თათრული და სპარსული.

6) ისრის ორი წვერი რკინისა, კაცხში ნაპოვნი. 7) ჭიათურაში ნაპოვნი გაქვავებული რაღაც ცხოველის შიგნეულობა.

8) კაცხშივე ნაპოვნი ზარბაზნის ყუმბარა.

9) გრაფ სოლოგუბის მიერ ტილოზე დახატული ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ნანგრევები.

10) სახარება, დაბეჭდილი ვახტანგ მე-6-ის მიერ 1709 წელს, ტფილისში.

11) სამოციქულო, დაბეჭდილი ვახტანგ მე-6-ის მიერ 1709 წელს, ტფილისში.

12) „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა (ხელთნაწერი), ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა, თხზულება დავით ივანეს ძის ლეონიძისა.

13) ოცითდე სიგელ-გუჯარი (ქართული და ოსმალური), რომელიც ეკუთვნის სამეფო მდივნის სოლომონ ლეონიძის ოჯახს.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველს ასეთ ძვირფას შემოწირულებისათვის.

წერილი რედ: მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ვთხოვთ უმორჩილესად ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ სოფ. დერჩის მცხოვრებს გიორგი სამსონის ძე წერეთელს, რომელმაც შემოსწირა ჩვენდამო რწმუნებულ შკოლას ბავშვებში უსასყიდლოდ დასარიგებლად: 1) ორი ეგზემპლიარი „ბუნების-კარი“ ი. გოგებაშვილისა, 2) 10 ეგზემპლიარი I ნაწ. „დედა-ენა“ ი. გოგებაშვილისა, 3) 10 ეგზემპლიარი „დედა-ენა“ II ნაწ. 4) 15 ეგზემპლიარი „Русское Слово“ Я. Гогебашвили I часть. 5) 5 ეგზემპლიარი I ნაწ. და 5 ეგზემპლიარი II ნაწ. არითმეტიკული ამოცანათა და რიცხვითი მაგალითების კრებული ხრამელაშვილისა. სულ ღირებული ფასად 17 მ. 40 კაპ.

სკოლის მმართველი მღვდელი **სამსონ ირემაძე.**

მასწავლებელი **ალექსანდრე აფხაიძე.**

განცხადებანი

ექიმი ვ. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—198

ცხოველების გამჭრიახობა

პატარა ბავშვების პირველი საკითხავი დასურათებული წიგნი.

ფასი 25 კაპ.

იყიდება „ჯეჯილის“ რედაქციაში: არტილერიის ქუჩა № 5, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ვინც ათზე მეტ წიგნს იყიდის, მათ დაეთმობათ 20 კ. (10—58—8)

მიიღება ხელის-მოწერა

ივანე როსტომაშვილისაგან გამოცხადებულ 24 ქართულ წიგნზე. რვა უკვე გამოვიდა: „თვით - მოქმედება“, „თვით-განვითარება“, „ვაზის მოშენება და ღვინის დაყენება“, „პურის თესვა-მოყვანა“, „საქონლის მოშენება“, „ალავერდა-პალახს (ლიუტერნას) თესვა-მოყვანა“, „ორსულობა-მშობიარობა“ და „ბინის საკითხი-ქლექი“. ფასი 24 წიგნისა გაგზავნით 2 მანეთი. ადრესი: въ Тифлисъ, Тумановская пер. 24. Ив. П. Ростомашвили.

(4—142—1)

დოქტ. ნავასარდიანისა

უფვლ დღე, კვირების გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ძმათა ავსარქისოვების

ბაღსა და სანერგეში

მოიპოვება საზღვარ-გარეთისა, რუსეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილი.

კატალოგები იგზავნება მოთხოვნისათანავე უსასყიდლოდ.

მისამართი: სად. სკრა, ამიერ-კავკასიის რკინის გზისა.

(15—55—13) **ავსარქისოვი**

◄ მშობიარეთათვის ►

თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., ხაბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—დან ნაშუადღევის 1 ს. (თ.—711-10)

ახალი საქონელი მუდამ იშოვება

ა. ქ. გუქასოვის მაღაზიაში

გოლოვინ. პრ., სახაზინო თეატ. პირდაპირ. მრავალი მშვენიერი და სუფთა ნივთები, რომელიც მოდის ყოველ კვირა რუსეთის და საზღვარ-გარეთის ცნობილ ფირმებისაგან. გვაქვს დიდ-ძალი საგალანტერეიო საქონელი, ქალისა და კაცისთვის თეთრეული, ახალ-მოდისა, აგრეთვე ფოლადის ნივთები, მაგალითად: სამართებლები თავის მოწყობილობით, თავის გასაკრეჭი მანქანები და კალმის დანები. საქონელი პირდაპირ ქარხნიდან მოდის და კარგის ღირსებისაა.

◄ ფასები ზომიერია ►

(10—103—10)

2 კოსტიუმი 4 მანეთად

ახე იაფად, 2 მანეთად მთელი ნაჭერი 4½ არშ., კაცის სრულ საზამთრო ან საშემოდგომო კოსტიუმისთვის; მატერია „რეკორდი“ მეტის-მეტად გამძლეა, პრაქტიკული და შნოიანი. ფერი: შავი, მუქი ლურჯი, უჯრედებიანი ან ზოლიანი. ორი ასეთი ნაჭერი გაეგზავნებათ მხოლოდ 4 მანეთად: გაგზავნა 70 კ., ციმბირში 1 მ, 25 კ., საუკეთესო ხარისხის ნაჭერი 2. 85 კ. და 3 კ. 25 კ. ვგზავნი აგრეთვე დამზადებულს შემოდგომის ან საზამთრო შალვარს. შეკერილ მტკიცე მატერიისაგან. "ტრიკო კამგარნ"—1 მ. 25 კ.; საუკეთესო მატერიისაგან 2 მ, 25 კ; გაგზავნა 65 კ. და სარტყლის განი. როცა სამს ან სეტს ნივთს გამოიწერენ, გაგზავნი ხარჯს მე ვკისრულობ. თუ არ მოეწონებათ—ფულს უკან დავაბრუნებ.

ადრესი: А. Кивманъ Лодзь, N—18, კორესპონდენცია რუსულად

(Мѣтцль. 56003 (3—22—2)

დაიბეჭდა და მალე გამოვა

გამოცემა მიხეილ ნემსაძისა

ფასი 10 კაპეიკი.

ადრესი: ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა.

◄ სამეურნეო ჟურნალი ►

მოსავალი

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის-მომწერლებს:

24 წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად **საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი“—და ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარეთ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთა ქარვასლაში).

ნაფიცი ვექილი

გრიგოლ დიასამიძე

დ ა ბ რ უ ნ დ ა.

ნახვა შეიძლება: დილის 8—10 ს. და საღამოს 6—7 ს. ბინა: ოლგას ქუჩა, ახლი № 4. (5—136—1)

კლასები

ფორტეპიანოს

იოსებ გიორგის ძე

ტერ-დავიდოვისა

ტფილისი, ელისაბედის ქ. № 40. (20—6.—15)

საბუჰალტერო კურსები

ტფილისი, სანაპირო ქუჩა, ვერის ხიდთან № 19.

ი. ფონ-ბრენნერისა,

(სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისაგან და ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებისაგან ყველა საკომერციო სასწავლებელში სახმარებლად მოწონებულ სახელმძღვანელოების ავტორისა).

კლასები დაარსებულია 1890 წ. და ცნობილია სამოსწავლო მთავრობის მიერ.

კლასები აძლევენ სპეციალურ საკომერციო მომზადებას ორივ სქესის პირთ, ვისაც ჰსურს მიიღოს ადგილი ბუჰჰალტერის, კორესპონდენტის, ანგარიშთა მწარმოების აგენტისა და სხვა.

კლასებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) **ბუჰჰალტერიას** (ორმაგი, იტალიური) და სხვა სისტემები, საგანგებო ანგარიშების წარმოება: საბანკო, საფაბრიკო, საქალაქო და საეროვნო საბჭოების, არყის მონოპოლიის, სა(ა)რხნო, სასოფლო სამეურნეო და სხვა სწავლება დაყენებულია პრაქტიკულად და მოსწავლენი პირველ გაკვეთილიდანვე ეჩვევიან საკუთრივ აწარმოვონ წიგნები. 2) **კომ. არითმეტ.**—საბანკო, საქონლისა, სავექსელო და სხვა ანგარიშებისა. 3) **კორესპონდენციას**—კომერციულ წერილების შედგენა საბუჰჰალტერო სწავლის, კომერციულ არითმეტიკის და სავაჭრო კანონების მიხედვით, 4) **კალიგრაფიას**—ხელის გაწვრთნებას სხვა და სხვა ხასიათის შრიფტების შესწავლას: 5) **კანონდებას**—სავექსელო, საგირავნო, სამრეწველო, საკრედიტო და სხვა წესდებათა შესწავლას. 6) **საწერ მანქანებზე წერას**; მოსწავლეთა განკარგულებაში იმყოფება 10 სხვა და სხვა სისტემის მანქანა, რომლებზედაც თავისუფალ დროს შეუძლიანთ თავისი სამუშაო გაიკეთონ ამასთანავე ტექნიკოსის ზედამხედველობით შეისწავლონ ტექნიკა და მანქანების მექანიზმი. 7) **საქონლის ცნობას**,—გააცნობს მოწაფეებს ადგილობრივ ბაზრის უმთავრეს საქონლის ქიმიურ შედგენილობას და იმის თვისებათა გამორკვევას. ამ მიზნისთვის კლასებს საგანგებო კაბინეტი აქვს მოწყობილი. 8) **ანგარიშის ჩოთქზე**—არითმეტიკულ და ალგებრაულ ამოცანების კეთებას. განმარტებული და ამერიკული წესები, ყველა არითმეტიკული მოქმედებანი და ამოცანების კეთება მთელის კურსის განმავლობაში წარმოება მხოლოდ ჩოთქზე. მოსწავლეთა საერთო და საგანგებო განვითარებისათვის მოწყობილია ბიბლიოთეკა საუკეთესო სახელმძღვანელოებით სასწავლო საგნების ლიტერატურიდან. მოსწავლეებს წიგნები შინ წასაღებადაც ეძლევათ.

კლასებში კურს დამთავრებულთ უსასყიდლოდ შეუძლიანთ იქონიონ **პრაქტიკა** ი. ფონ-ბრენნერის სატეხნიკო და სავაჭრო—სამრეწველო ბიუროს კანტორაში, რაც, უეჭველია, დიდად სასარგებლოა მოსწავლეებისათვის.

კლასები შესდგება სამის განყოფილებისაგან: 1 ვა ყოფილებაში მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი, 2 შ—საქალაქო ან საუკლასიან საშუალო სასწავლებელში კურს დასრულებულნი. და მე-3-ში—ბუხჰალტერის და კომერციულ არითმეტიკის პრაქტიკული მცოდნენი. დასაწყისი სწავლის 15 სექტ. თხოვნები მიიღება და ცნობები მიიცემა კლასების კანცელარიაში, ტფილისში, სანაპირო ქუჩაზე, ვერის ხიდთან, საკუთარ სახლში N 19 ან სერგიევის ქუჩაზე N 4. კანცელარია ღიაა ყოველ-დღედილის 9 ნ 1—ამდე და საღამოს 5—დან 8 საათამდე. ტელეფონი N 929 და 1044 (20—ბუხ—16)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებულმა ქალთა წრემ განიზრახა გამოსცეს ჩვენი ბელეტრისტის

ეკ. გაბაშვილის თხზულებანი

ერთ ტომად, აღსანიშნავად მისის ორმოცის წლის სამწერლო ასპარეზზედ მოღვაწეობისა. ამისათვის ქალთა წრემ გადასწყვიტა გამართოს **ხელის მოწერა ხსენებულს წიგნზედ**, რომელიც იქნება დაბეჭდილი კარგს ქაღალდზედ არა ნაკლებ 400-ის გვერდისა სურათით, ბიოგრაფიით და კიტა აბაშიძის კრიტიკული შენიშვნებით, ღირება **თითო წიგნი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.** ხელის მოწერა მიიღება შემდეგ პირებთან: ახალციხეში კ. გვარამაძესთან, ახალსენაკში ქ. ხოფერიასთან, ბორჯომში ვ. ყიფიანთან, ბათომში გ. ჟღენტთან, ბაქოში მ. თაქთაქიშვილთან, სოფ. ახალქალაქში ექ. ვამაკიძესთან, გორში ექ. ელიოზიშვილთან, ზუგდიდში ბ. პატარაიასთან, ქუთაისში ი. ბაქრაძესთან, კავკავში ს. კალანდარიშვილთან, მიხაილოვში ნინო ყიფიანთან, სიღნაღში ექ. ჯანდიერთან, სოხუმში კნეინა აჩაბაძესთან. თელავში ვას. კახიძესთან, ფოთში კ. გამყრელიძესთან, ყვირილაში დეკ. დ. ლამბაშიძესთან, ჭიათურაში ი. დეკანოზიშვილთან, ცხინვალში ნ. მაჭავარიანთან, ხონში ეფრ. ჭიჭინაძესთან, ხოლო ტფილისში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან. (6—118—1)

ТРЕБУЙТЕ ЧАСОВЪ
ИСКЛЮЧИ-ТЕЛЬНО
ИЗЪ ПАРИЖА

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ

სწორე და მკვიდრი საათები!

ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი სახურავით «ს ე ც ს ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით“. ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

ПАРИЖЪ 7 PARIS — S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis.

უფასოთ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Мецль N 53647). (35—15—6)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძებველოვების მაღაზიას

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

ხიზილალა ახალი, (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია ღვინის ოირაგული (სიომგა)

და **წითელი ხიზილალა** (Кетовая). (წ—128—3)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სონღულაშვილი.

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3